პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 161 (3645)

17 აგვისტო, შაბათი. 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




## უნგრეთიდან...

**ბუდაპეშტი,** 14 აგვისტო. 34 მწვრთნელის, აგრეთვე, ექიმებისა და ოფიციალური პირების თანხლებით მექსიკის ოლიმპიადაში სასპარეზოდ უნგრეთის 141 სპორტსმენი ვაჟი და 34 ქალი გაემგზავრება. უნგრელი სპეციალისტების აზრით, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო ათეული ასეთ სახეს მიიღებს: სსრ კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იაპონია, პოლონეთი, ავსტრალია, იტალია, უნგრეთი და რუმინეთი. ეს დასკვნა ეფუძნება წლევანდელ სპორტულ სეზონში ნაჩვენებ შედეგებს.

## აი, გენერალი!

„გენერალი ოსტინ მელო დაესწრება მეხიკოს ოლიმპიადის გახსნას!" — საზეიმოდ აცხადებენ მექსიკის გაზეთები. რა არის აქ უჩვეულო?

ჯერ ერთი, გენერალი 113 წლისაა. მეორეც — გენერალი... ქალია!

სამხედრო კარიერა ოსტინმა დაიწყო 1867 წელს, ნაპოლეონ III ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. რა თქმა უნდა, მას ვაჟის ტანსაცმელში გამოწყობა დასჭირდა. ასე მოიქცა თავის დროზე კავალერისტი ქალიშვილი ნადეჟდა დუროვაც. გენერლის ეპოლეტები კი ოსტინ მელომ 47 წლის შემდეგ მოიპოვა მექსიკის რევოლუციაში მონაწილეობისთვის.

# გვეყოლება ახალი ოსტატები

### სსრ კავშირის სპორტის ოსტატებისა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადების წლევანდელი გეგმის შესრულების მიმდინარეობა 15 აგვისტოსთვის

წლის დამლევამდე ოთხნახევარი თვე დარჩა. ერთი შეხედვით, დრო საკმაოა, მაგრამ როცა გასაკეთებელი ბევრია, ეს დრო არც თუ ისე დიდად უნდა მოგვეჩვენოს. დღეს ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ გადავხედოთ სპორტის ოსტატთა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების გეგმების შესრულების მიმდინარეობას, ვნახოთ, რა მაჩვენებლებით შეხვდნენ რესპუბლიკის ქალაქები, რაიონები და სპორტული საზოგადოებები თავიანთ ზეიმს — ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

სპორტის ოსტატების მომზადების მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ ზუგდიდისა (სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. ხორავა) და ახალქალაქის (სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. ოვანესიანი) რაიონებს, რომლებმაც ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული თითო ოსტატისა, ორ-ორი მოამზადეს. დღეისთვის უკვე შესრულებული აქვთ გეგმა ზესტაფონის, კასპისა და მახარაძის რაიონებს — მათ თითო ოსტატი მოამზადეს.

გორის, გარდაბნისა და მცხეთის რაიონებს გეგმით დავალებული აქვთ 3-3 ოსტატის მომზადება, მათ კი მხოლოდ თითო ოსტატი ჰყავთ. ჯერჯერობით ვერც ერთი ოსტატი ვერ მოამზადეს ახალციხის, ლაგოდეხის, მესტიის, ონის, საგარეჯოს, სამტრედიის, თელავის, წულუკიძის რაიონებმა, ტყიბულმა, ქიათურამ და ზუგდიდმა. ჩამორჩენილთა რიგებში არიან ბორჯომის რაიონი და ფოთი. ასევე არც ერთი ოსტატი არა ჰყავთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და რუსთავს.

აფხაზეთს, აჭარას და თბილისს გეგმით გათვალისწინებული აქვთ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების მომზადებაც. სამწუხაროდ, აფხაზეთსა და აჭარაში ჯერჯერობით ეს გეგმა არ შესრულებულა. რაც შეეხება თბილისს, აქ 10 საერთაშორისო სპორტის ოსტატის მაგიერ დღეისთვის მხოლოდ ორია მომზადებული.

რა მდგომარეობაა სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში? „განთიადმა" ერთის ნაცვლად უკვე 2 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მოამზადა, „დინამომ" კი შვიდიდან მხოლოდ 1. „ბურევესტნიკს", „კოლმეურნეს" და არმიის სპორტულ კლუბს არც ერთი საერთაშორისო კლასის ოსტატი არ მოუმზადებიათ.

რაც შეეხება სპორტის ოსტატებს, აქ ასეთი მდგომარეობაა: „ბურევესტნიკმა" მოამზადა 5 (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46-სა), „დინამომ" — 6 (37), „განთიადმა" — 7 (24), „კოლმეურნემ" — 11 (22), „სპარტაკმა" — 4 (22), „ლოკომოტივმა" — 2 (13), „შრომითმა რეზერვებმა" — 1 (4), არმიის სპორტულმა კლუბმა — 12 (20), განათლების სამინისტრომ — 3 (5). „ვოდნიკს" გეგმით 2 სპორტის ოსტატი უნდა მოემზადებინა, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთი ოსტატი ვერ აღზარდა.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა სსრ კავშირის სპორტის ოსტატების მომზადების მხრივ სახეობათა მიხედვით? აქ გეგმა მხოლოდ წყალბურთსა და სასტენდო სროლაში შესრულდა — შესაბამისად 1 (1) და 6 (4).

აკრობატიკაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ჭადრაკში, მთამსვლელობასა და მოტოსპორტში გეგმა არ გვქონდა, მაგრამ ამ სახეობებში მომზადდა 14 ოსტატი.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა კრივში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, საცხენოსნო სპორტში და ნიჩბოსნობაში. აღნიშნულ სახეობებში დღეისთვის არც ერთი სპორტის ოსტატი არ არის მომზადებული.

დასასრულს გაგაცნობთ საერთო მდგომარეობას: ჩვენს რესპუბლიკაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14-სა დღეისთვის მომზადებულია 3 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 195-ის ნაცვლად — 51 სპორტის ოსტატი.

ვფიქრობთ, საქართველოს სპორტსაზოგადოებები და უწყებები, რაიონებისა და ქალაქების სპორტკავშირები მაქსიმალურად გამოიყენებენ დარჩენილ დროს და ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ჩვენს რესპუბლიკას ახალი, მაღალი კლასის სპორტსმენები შემატონ.

**ნ. სოხიშვილი,**
საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

# სემინარი სპორტის ქალაქში

**სალავათი,** 15 აგვისტო. (საქდესი). „მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშუქება პრესაში" — ასეთი იყო თემა ოთხდღიანი სემინარისა, რომელიც დღეს დამთავრდა ბაშკირეთის ამ ქალაქში. სალავათში თავი მოიყარა ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების, საკავშირო რადიოს, აასის, საქდესის, რესპუბლიკურ სპორტულ გამოცემათა წარმომადგენლმა 35 ჟურნალისტმა. ისინი შეიკრიბნენ, რათა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ გამოცდილება, ემსჯელათ, რა გზით უფრო ღრმად, საფუძვლიანად და საინტერესოდ შეიძლება გაშუქდეს ჩვენი მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის საკითხები.

ზუსტად ორი წლის წინ პარტიამ და მთავრობამ მიიღეს დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებებზე. ერთი შეხედვით, არც ისე დიდი დროა გასული. მიუხედავად ამისა, მაგალითი ქალაქ სალავათისა, რომელიც შემთხვევით როდი აირჩიეს სპორტულ ჟურნალისტთა თავშეყრის ადგილად, ნათლად მეტყველებს: ორ წელიწადშიც ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს.

105-ათასიან ახალგაზრდა ქალაქს, რომელშიც 30 ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, სამართლიანად უწოდებენ სპორტისა და ჯანმრთელობის ქალაქს. აქ ყოველი მესამე კაცი ფიზკულტურასა და სპორტშია ჩაბმული. ბოლო ორი წლის მანძილზე აშენდა 2 სტადიონი, 3 სპორტდარბაზი, მოეწყო ათობით მოედანი, შენდება 50-მეტრიანი საცურაო აუზი. ახლა ქალაქის ყველა მიკრორაიონი უზრუნველყოფილია სპორტულ ნაგებობათა მთელი კომპლექსით. ტურისტულ ლაშქრობებში, მრავალდღიან მოგზაურობებსა და ექსკურსიებში ქალაქის ასობით მცხოვრები მონაწილეობს.

## რ. მათესის მსოფლიო რეკორდი

**ლაიპციგი,** 14 აგვისტო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა აქ გამართულ ჩემპიონატში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია 17 წლის როლანდ მათესმა. ამ ნიჭიერმა ჭაბუკმა 0,4 წამით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი — 200 მეტრი გულაღმა 2 წუთსა და 7,5 წამში გაცურა.

**ლენინაკანი,** 16 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). 500 უძლიერესი მძლეოსანი აქ განაგრძობს ბრძოლას სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის, რაც მეხიკოს ოლიმპიური თამაშების საგზურებს იძლევა.

ჩემპიონატის აქაური ეტაპი რეკორდებით დაიწყო. ალმაათელმა ლ. გოლომაზოვამ გაიმეორა საკავშირო რეკორდი 100 მეტრზე რბენაში — 11,3. ამან „გააბრაზა" ნახევარფინალის სხვა მონაწილენი და საუცხოო წამებიც იშვა: ბრიანსკელმა ტექნოლოგმა ლ. სამოტიოსოვამ გაიმეორა პოლონელი ი. კირშენშტეინ-შევინსკას მსოფლიო რეკორდი — 11,1. ერთი საათის შემდეგ ლიუდმილამ ფინალურ გარბენში აჩვენა 11,3 წამი და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა.

ეს იყო მძლეოსნობის მსოფლიო ისტორიაში ყველაზე სწრაფი გარბენი. სამოტიოსოვას არც სხვები ჩამორჩნენ. ფინალში გოლომაზოვამ და ვ. პოპკოვამ (ჩელიაბინსკი) აჩვენეს 11,2, ხოლო ლ. ტკაჩენკომ (ხარკოვი) — 11,3. ჩვენი მძლეოსნის ვ. ქუთათელაძის შედეგია 11,8.

100 მეტრზე ვაჟთა რბენაში ყველაზე წარმატებით კვლავ გომელელი სტუდენტი ვ. საპეია გამოვიდა. ფინალში მან გაიმეორა ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდი — 10 წამი. საინტერესოა, რომ მან ამ საუცხოო შედეგს წლეულს მეორედ მიაღწია.

# სპრინტერებმა გაგვაოცეს

ვერცხლის მედალი დაისაკუთრა 19 წლის ე. სინიაევმა (მოსკოვი) — 10,1, ხოლო ბრინჯაოსი — ნ. ივანოვმა (მოსკოვის ოლქი) — 10,2.

უძლიერესთა ექვსეულში აგრეთვე მოხვდნენ: ა. ხლოპოტნოვი (ხარკოვი) — 10,2, ლ. მიკიშევი (მოსკოვი) — 10,3, ი. ბიჩკოვი (ლენინგრადი) — 10,4.

გარბენის დროს ნიავიც კი არ ქროდა.

ორი შესანიშნავი შედეგი იქნა ნაჩვენები საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში. მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ლუსისმა შუბი 82,02 მეტრზე ტყორცნა, ხოლო იაროსლაველმა თარჯმორბენალმა გ. კუზნეცოვამ 80 მ 10,5 წამში გაირბინა. თბილისელი ლ. იევლევას დროა 10,6.

ჩვენი უძლიერესი შუბის მტყორცნელი გ. გოძამაშვილი ფინალში ვერ მოხვდა.

ბირთვის კვრაში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა ე. გუშჩინმა (მოსკოვი) — 19 მ. თბილისელი სტუდენტის მ. იყროშიძის შედეგია 16,56 მ.

**ვ. ბუკინი.**

მსოფლიო ჩემპიონს სათვითმფრინავო სპორტში, კემეროველ ვ. მარტემიანოვს სპორტული ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვს. ომსკის ზონალური ასპარეზობის დღეებში, სადაც იგი კემეროვოს გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა, მარტემიანოვს ხშირად ნახავდით სპორტსმენთა წრეში. მისმა რჩევამ და საჩვენებელმა გამოსვლებმა ბევრ მონაწილეს შეუწყო ხელი შედეგების გაუმჯობესებაში.

• • •

სურათზე: ვ. მარტემიანოვი (მარცხნივ) არჩევს მრავალჭიდის ერთ-ერთ ვარჯიშს. ცენტრში — ომსკელი პირველთანრიგოსანი ლ. როჟკოვა; მარჯვნივ — სსრ კავშირის ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი ვ. პონომარიოვი.



ფოტო ს. იუდინისა (საქდესი).

# ქალები ნაუგებლად

**გომელი,** 15 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ხელბურთელთა ჩემპიონატის კიდევ 2 ტური.

მეორე ტურში თბილისის ქალთა გუნდი ფრუნზელებს შეხვდა. თბილისელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 8:5. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ოდილავაძემ და გრიგორიევამ.

მესამე ტურში ჩვენების მეტოქე ლენინგრადელთა გუნდი იყო. საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს თბილისელებმა — 9:8. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაცვის შეთანხმებული თამაში.

ჩვენი ხელბურთელი ვაჟების მეტოქე მეორე ტურში ტაგანროგის კოლექტივი იყო. თბილისელებმა იოლად დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 30:20. ქართველ ხელბურთელებს არც მომდევნო ტურში გასჭირვებიათ მოგება — მათ აჯობეს ერევნელებს — 27:20.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ქალები.** II ტური. ტაშკენტი — ლენინგრადი 9:19, ჩერკასი — მინსკი 11:10, კიევი — ერევანი 23:3, მოსკოვი — სვერდლოვსკი 11:15. III ტური. კრასნოდარსკი — ერევანი 21:10, მოსკოვი — კიევი 20:10, ტაშკენტი — ჩერკასი 7:29, ფრუნზე — მინსკი 13:16; **ვაჟები.** II ტური. ზაპოროჟიე — ლენინგრადი 31:22, მოსკოვი — მინსკი 22:23, ბაქო — ერევანი 26:13, კრასნოდარი — ტაშკენტი 20:20. III ტური. ტაგანროგი — კრასნოდარი 18:28, ბაქო — ტაშკენტი 14:21, მოსკოვი — ფრუნზე 47:20, მინსკი — ზაპოროჟიე 14:17.

**ჯ. აბაიშვილი,**
სპორტის ოსტატი.

# წინაა პ. ლედნიოვი

**სტოკჰოლმი,** 16 აგვისტო. თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონი, ლვოველი არმიელი პ. ლედნიოვი ძალიან ახლოსაა შვეციის ღია ჩემპიონატში გამარჯვებასთან — 4 სახეობის შემდეგ მას 4173 ქულა დაუგროვდა. ჯერჯერობით II ადგილზეა ბ. ფერმი (შვეცია) — 4069 ქულა. III ადგილი უჭირავს ოლიმპიურ ჩემპიონს, უნგრელ ფ. ტიორიოკს — 4016 ქულა. საბჭოთა ხუთჭიდელები ლიდერობენ გუნდურ ჩათვლაშიც — 1945 ქულა. II ადგილზე მყოფ უნგრელებს 1722 ქულა აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტკავშირში

# აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისთვის

საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ახლახან იმსჯელა გორსა და რუსთავში სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ მხრივ ძალიან კარგადაა საქმე გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედინსტიტუტში. ამ უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი, სპორტკლუბი, ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრა მუდამ საზეიმო ვითარებაში აღნიშნავენ სტუდენტ-სპორტსმენთა წარმატებებს. დოცენტები ნ. ზამბახიძე, ი. პავლიაშვილი და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის წევრები ხშირად ატარებენ ლექცია-მოხსენებებს სპორტსმენთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე.

გორის ფეხბურთელთა გუნდის „დილას“ სპორტსმენთა შორის იდეურ მუშაობას მუდამ დიდ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი სპორტკავშირის პრეზიდიუმი. მწვრთნელისა და სპორტსმენების ურთიერთობის კარგ მაგალითს იძლევა „დილასთან“ არსებული მოსამზადებელი გუნდის მწვრთნელი კ. თურაზაშვილი. იგი დაინტერესებულია აღსაზრდელთა არა მარტო სპორტული შედეგებით, არამედ მათი სწავლითა და საყოფაცხოვრებო პირობებითაც.

სპორტსმენთა შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას დიდი ყურადღება ექცევა რუსთავშიც. ეს საკითხი განხილული აქვთ პარტიისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტებს. რუსთავის ფეხბურთელთა გუნდში („მეტალურგი“) აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე იმსჯელა მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტმა. ფეხბურთელებს შეხვედრა მოუწყვეს მილსაგლინავი საამქროს მუშებმა.

და მაინც, გორისა და რუსთავის სპორტკავშირების საქმიანობაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ნაკლოვანებები: სრულად არაა გამოყენებული აღმზრდელობითი მუშაობის ფორმები და მეთოდები. ზოგჯერ ლმობიერებას იჩენენ ულირს მწვრთნელთა და სპორტსმენთა მიმართ.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია გორისა და რუსთავის ფიზკულტურულ ორგანიზაციებში იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის გამტკიცების გზები.




## ოთხ სახეობაში

საკონსერვო ქარხნის ფიზკულტურელებმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიუძღვნეს თავიანთი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრებები მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში.

სროლაში ყველას აჯობა ქარხნის მთავარმა მექანიკოსმა გ. ტაბატაძემ. II და III ადგილები დაიკავეს ცვლის უფროსებმა ი. ლაბაძემ და კ. ბიწაძემ.

ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ი. მეტრეველი (ადგილკომის თავმჯდომარე), 2. გ. გოგოლაძე (საწყობის გამგე), 3. თ. რამიშვილი (ბრიგადირი).

ჭადრაკში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა მუშამ გ. კალანდაძემ, შაშში — ცვლის უფროსმა ა. გოცირიძემ.

ზ. მოსეშვილი.
(ჩვენი კორ.).

ხაშური.



# პირდაპირ საოცარია!

ჩვენში დღითი-დღე უმჯობესდება ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა: შენდება სტადიონები, სპორტული მოედნები, ჭაბუკები ხარბად ეწაფებიან ფიზკულტურასა და სპორტს, იმაღლებენ ოსტატობას და შემდეგ ბევრი მათგანი წარმატებით იცავს საქართველოს ღირსებას სხვადასხვა ასპარეზობაში. მაგრამ აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი ორგანიზაციები, ფიზკულტურული კოლექტივები, სადაც ახალგაზრდების გაკაჟების საქმეს ზერელედ უყურებენ, არ უქმნიან სპორტის მოყვარულებს სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშის ნორმალურ პირობებს. რედაქციამ გადაწყვიტა საამკარაოზე გამოიყვანოს ისინი, ვინც ხელს გვიშლის, რომ საქართველოს ახალგაზრდები ფიზიკურად ჯანსაღნი, ძლიერნი იყვნენ, აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენს საერთო საქმეში. სწორედ ამიტომ შემოვიღეთ ახალი რუბრიკა, რომელსაც დავარქვით: „პირდაპირ საოცარია!“

### იყო და არა იყო რა...

ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... ასე იწყებდნენ ძველად ყოველ ზღაპარს, მაგრამ ის, რაზეც ახლა უნდა ვილაპარაკოთ, ზღაპარი კი არა, მწარე სინამდვილეა. მოქმედების ადგილი საჩხერის რაიონის სოფელი სავანეა; მოქმედი პირნი — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი ახალგაზრდები.

...საჩხერის რაიონულ სტადიონზე ცხარე ასპარეზობა გაუმართავთ კოლმეურნე სპორტსმენებს. რაიონის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩაბმულან ფეხბურთელები, ფრენბურთელები, მძლეოსნები, ტყვიის მსროლელები. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ფეხბურთელთა შეჯიბრება, სადაც პირველ ადგილს ერთმანეთს ეცილებოდნენ საირხისა და სავანის გუნდები. სავანელები წარმატებით გამოვიდნენ სპორტის სხვა სახეობებშიც და ჯილდოებით ხელდამშვენებული დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს.

ეს იყო შარშანწინ. იგივე საჩხერის რაიონის სტადიონი. სავანელებმა მარტო ფეხბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის წარმოადგინეს გუნდის განაცხადი. სპორტის სხვა სახეობებში მათი კოლექტივები „მიწამ ჩაყლაპა“.

...მსაჯმა მინდორზე სავანელი ფეხბურთელები და მათი მეტოქენი გამოიძახა. მეტოქე მყისვე მოეწყო მინდორზე, სავანელი ფეხბურთელები კი ამ დროს დიდ გაჭირვებაში იყვნენ: მატჩი სადაცაა უნდა დაიწყოს, მათ კი სპორტული ფორმა არა ჰქონდათ. რის ვაივაგლახით ითხოვეს სხვა ფეხბურთელებისგან მაისურები, კედები და, როგორც იქნა, გავიდნენ სარბიელზე. ერთი ქართული გამოცანა რომ არის: ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ, ზოგან ალისფერიაო, სწორედ სავანელ ფეხბურთელებზე იყო ზედგამოჭრილი.

„კოლმეურნის“ რაისაბჭომ წლეულს სავანის საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივს კარგა ხანია გაუგზავნა ფეხბურთში, ფრენბურთსა და სხვა სახეობებში შეჯიბრებათა დებულებები, მაგრამ როგორც პოეტმა თქვა: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი...“

გვითხრეს: კოლმეურნეობამ აქაურ ფიზკულტურელებს სპორტული ფორმა ვერ უყიდა და მიზეზიც ეს არისო. ვერაფერი საბუთია! ზემოაღნიშნული კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. ბერიძე) ერთ-ერთი ყველაზე ღონიერია რაიონში. თავდადებული შრომითი საქმიანობით გარდამავალი წითელი დროშაც კი მოუპოვებია. მაგრამ სპორტის მოყვარულ ახალგაზრდებზე (ისინი საკმაოზე მეტნი არიან), მათს ფიზიკურ გაკაჟებაზე, ეტყობა, ამ სასოფლო-სამეურნეო არტელში არავინ ფიქრობს. ამას სავანის მშვენიერი საფეხბურთო მინდორიც ადასტურებს, სადაც ჩვენი მისვლის მომენტში სპორტსმენთა ნაცვლად ძროხები და ქათმები დანავარდობდნენ.

სწორედ ამაზე იტყვიან: იყო და არა იყო რაო...

### აურზაური არაფრის გამო

— გვიშველეთ, ვიღუპებით, — გვწერდნენ ქალაქ ჭიათურასთან ახლო მდებარე სოფელ გეზრულის ახალგაზრდები, — ერთადერთი საფეხბურთო მინდორზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულებით ფერმის აშენება გადაწყვიტეს, საშენი მასალა უკვე მოიტანეს, სულ მალე ჩვენი ხელით მოწყობილი სტადიონისგან ნასახიც არ დარჩებაო.

გეზრულის ახალგაზრდების წერილმა აგვაღელვა და გადავწყვიტეთ ამ სოფელს ვწვევოდით. კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ადგილზე დაგვხვდა, თავად გაგვიძღვა მინდვრის დასათვალიერებლად. ფერმის აშენება მართლაც გადაუწყვეტიათ ფეხბურთის სარბიელზე, საშენი მასალაც მოუზიდიათ, მოედნის გარშემო დაუწყვიათ, მაგრამ ეს ოდნავადაც არ უშლის ხელს ახალგაზრდებს ითამაშონ ფეხბურთი. აქვე ახლოს მშვენიერი საფეხბურთო ადგილია, მოაჯირიც კარგი აქვს, ადგილმდებარეობაც უკეთესია.

— სანამ ახალ სარბიელს არ გავაკეთებთ, ძველის ხელის ხლება არც გვიფიქრია, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

თუ ადრე, მიღებული წერილის მიხედვით კოლმეურნეობის თავმჯდომარის განზრახვამ აგვაღელვა, ახლა გული მოგვივიდა წერილის ავტორებზე, რომლებმაც განგაში ატეხეს, შველა გვთხოვეს, გზად გვიხმეს და საგანგაშო კი არაფერი ყოფილა.

ნაკლი უნდა გამომჟღავნდეს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ რაც არ მომხდარა, იმაზე წერა რა საჭიროა?! წერილის ავტორიც ცდება და ამჯერად რედაქციის მიერ მივლინებული მუშაკიც მოცდა.

სწორედ ამაზე უთქვამს შექსპირს: „აურზაური არაფრის გამო“.

ასეა ხომ?

### აღმართ-აღმართ მივდიოდი...

აი, სულ სხვაა უ. კაპანაძის წერილი, რომელიც ეხება სოფელ ითხვისის (ჭიათურის რაიონი) კოლმეურნეობის გამგეობის უგულო დამოკიდებულებას სპორტისადმი. მართლაც, სოფელში ერთადერთი სპორტული ბაზაა — საფეხბურთო მინდორი, ისიც ღორღნიანი, სოფლიდან საკმაო მანძილით დაცილებული. ფეხბურთის თამაში რომ მოგინდეს, საჭიროა კარგა მოზრდილი აღმართის დაძლევა, სამაგიეროდ, ვარჯიშისგან დაღლილ-დაქანცულებს ყოველგვარი „საწვავის“ ხარჯვის გარეშე შეუძლიათ დაღმართზე დაშვება და სოფლის ცენტრში დაბრუნება.

ფეხბურთელებს ბევრ სხვა დაბრკოლებასთან ერთად ერთი ყველაზე საშიში ამბავი უშლით ხელს: ბურთმა მინდვრის გვერდითი ხაზი თუ გადაკვეთა, მშვიდობით, უფსკრულში გადაეშვება და ვაი მას, ვინც ამ საბედისწერო დარტყმის ავტორი იქნება!

ბახრი მახვილაძე.



## რთული ამოცანის წინაშე

დამთავრდა კიდევ ერთი შეჯიბრება საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით: სოხუმში ჩატარდა ფრენბურთელთა ასპარეზობა.

ვაჟთა გუნდების წინასწარ შეხვედრებში კარგად ითამაშეს აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლებმა. ფინალში I ადგილისთვის სწორედ ეს გუნდები იბრძოდნენ. აფხაზეთის ნაკრები უფრო ძლიერი გამოდგა (3:0) და პირველობაც მოიპოვა. III საპრიზო ადგილი წილად ხვდათ გურჯაანელებს.

უძლიერესის სახელი ქალთა გუნდებშიც აფხაზეთის სპორტსმენებმა მოიპოვეს, რომლებმაც ფინალში აჯობეს ზუგდიდელ ფრენბურთელებს — 3:0. III ადგილზეა ლაგოდეხის გუნდი.

უკვე დაკომპლექტდა ნაკრები გუნდები, რომლებიც სათანადო წვრთნის შემდეგ საკავშირო ფინალურ თამაშებში ჩაებმებიან. ზონალური შეჯიბრება უახლოეს ხანში გაიმართება ფრუნზეში. იქ საქართველოს სპორტსმენებს მეტად ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ ესტონეთის, რსფსრ-სა და ლიტვის ფრენბურთელთა სახით. ფრუნზეს ზონაში I-II ადგილებზე გასული გუნდები სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ. ეს ასპარეზობა 1-6 ოქტომბერს გაიმართება ნალჩიკში.

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

# თასი მისამართს იცვლის

გორკში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებით სპორტში. შეჯიბრებაში, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნაკრები გუნდები, გარდა ტაჯიკეთისა. ასპარეზობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებიც.

ტურნირის პირველ დღეს სტადიონის სარბენ ბილიკზე გაიმართა შეჯიბრება ორჭიდსა და სახანძრო ესტაფეტაში. ჩემპიონატის დებულებით, ორჭიდი (დროის ჯამი, რომელსაც სპორტსმენი აჩვენებს სასწავლო კოშკის მე-4 სართულზე საიერიშო კიბით ასვლასა და დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში) დამოუკიდებელ სახეობად ითვლება. ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპორტის ოსტატმა ნ. ტარუნოვმა (რსფსრ) — 34,9.

გუნდურ ჩათვლაშიც რსფსრ-ს ნაკრების წევრები პირველობდნენ. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელები, III — საქართველოს წარმომადგენლები. ჩვენი გუნდის წევრმა, სპორტის ოსტატმა გ. ბუკიამ ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 35,9.

პროგრამის შემდეგი სახეობა იყო სახანძრო ესტაფეტა 4×100 მეტრზე. სანახაობრივად ეს სახეობა ყველაზე მიმზიდველია, მაგრამ სპორტსმენისთვის იგი ხშირად საბედისწეროა და საგრძნობი ცვლილებებიც შეაქვს გუნდური ბრძოლის შედეგებში. ლიდერებმა ამჯერად ეს გამოცდა მშვიდობიანად ჩააბარეს. ესაა რომ, რსფსრ-სა და უკრაინის გუნდებმა ადგილები შეცვალეს. ჩვენი რესპუბლიკის კვარტეტმა 1.16,3 აჩვენა, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს, რომ ქართველი სპორტსმენები ესტაფეტის შესანიშნავი ოსტატები არიან.

ჩემპიონატის მომდევნო დღე სასწავლო კოშკის მე-4 სართულის იერიშით დაიწყო. გუნდური პირველობა რსფსრ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს. ამ გუნდის წარმომადგენელმა ო. კუზნეცოვმა დახვეწილი ტექნიკა გამოავლინა და საუცხოო შედეგს მიაღწია — 15,3. ეს მაჩვენებელი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ახალი რეკორდი და სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევაა. მოვიყვანთ ერთ საინტერესო ციფრს: 1957 წელს ამ სახეობაში პირველი საკავშირო რეკორდის ავტორი იყო სვერდლოვსკელი ლესკინი, რომელმაც აჩვენა 29,8.

შესანიშნავად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები: საქართველოს რეკორდი დაამყარა ბუკიამ — 16,2. მას 0,1 წამით ჩამორჩა სპორტის ოსტატი ა. ჭაბუკიანი. მაგრამ ჩვენი ნაკრების სხვა წევრებმა მაღალი შედეგები ვერ აჩვენეს და V ადგილს დასჯერდით.

წინ კი შეჯიბრების ახალი სახეობა იყო — საბრძოლო გაშლა მოტოლდუმშიდან. ამ სახეობაში წლეულს შეჯიბრება პირველად ტარდება ჩვენში. აგვისტოს ბოლოს ლენინგრადში გაიმართება სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრება, სადაც ამ სახეობაშიც გაიმართება ასპარეზობა. სწორედ ამიტომ შეიტანეს იგი ჩემპიონატის პროგრამაში.

საბრძოლო გაშლა ჯგუფური ვარჯიშია. განყოფილება, რომელშიც 7 კაცი შედის, სტარტის მაუწყებელი სიგნალის შემდეგ მოტოლდუმს დგამს წყლის წერტილზე, გაჰყავს ხაზები, რთავს მოტოლდუმს და წყლის ორი ნაკადით უტევს სამიზნეს. ყველაზე სწრაფად ეს ვარჯიში შეასრულა მოსკოვის გუნდმა. კარგად გამოვიდა საქართველოს ნაკრებიც, რომელმაც II ადგილი დაიკავა. ორი დღის შემდეგ საქართველოს წარმომადგენლები მოსკოვის გუნდის მხარდამხარ მიდიოდნენ. წინ მხოლოდ რსფსრ-ს სპორტსმენები იყვნენ.

შეჯიბრების ბოლო დღე ქართველი სპორტსმენებისთვის უხეირო გამოდგა. დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვის დროს ერთ-ერთი მათგანის მარცხმა გუნდი IV ადგილზე გადასწია. ჩვენმა წარმომადგენლებმა ამ ვარჯიშში სულ 0,1 წამი წააგეს უზბეკეთის სპორტსმენებთან, მაგრამ ეს საკმარისი გამოდგა, რომ „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს თასის შარშანდელი მფლობელი — უკრაინის ნაკრები III ადგილზე გასულიყო.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თასი დაისაკუთრა რსფსრ-ს გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველები.

შეჯიბრება დამთავრდა. სპორტსმენები შინ დაბრუნდნენ. სავარჯიშოდ დარჩნენ მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრების წევრები, რომელთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები გ. ბუკია და ა. ჭაბუკიანი. 15 უძლიერესი სპორტსმენი ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავს მომავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში.

ა. მამულაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



## წითელწყარო

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტის გამოყენებითი სახეობების ფაკულტეტის დეკანმა ა. ციბაძემ ფიზკულტურელის დღეს ჯერ რაიონის პოლიტგანათლების კაბინეტში და შემდეგ ზემო ქედის კოლმეურნეობაში წაიკითხა საინტერესო ლექციები თემაზე: „საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა“ და „ქართველი სპორტსმენები უცხოეთში“.

უ. ჟუარუაშვილი.



# ფეხბურთი-68



## გოლები, გოლები, გოლები

აგვისტოს ფეხბურთი სულ უფრო უხვგოლიანი ხდება. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ერთი დღის — 14 აგვისტოს 7 მატჩში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის გატანილ იქნა 21 გოლი, ე. ი. ზუსტად 3 გოლი თითო თამაშში. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყველაზე მეტი გოლი ამ დღეს გატანილ იქნა როსტოვში — ადგილობრივი არმიელებისა და „სპარტაკის" შეხვედრაში. მართალია, აქ ანგარიში გახსნეს მოსკოველებმა (ოსიანინი), მაგრამ მატვეევმა სამჯერ აიღო ჩემპიონობის კანდიდატის კარი (აქედან ერთი — პენალტით), შემდეგ კოპაევმა და კაზაჩოკმა — კიდევ თითოჯერ და მხოლოდ დასასრულს შემცირა განსხვავება სილაგაძემ — 5:2.

ხუთჯერ იქნა ფიქსირებული კარის აღება „არარატისა" და „ნეფტჩის" მატჩში. გამარჯვებულთაგან გოლების ავტორები იყვნენ ზანაზანიანი, ოვივიანი (2) და მელქუმოვი, ხოლო დამარცხებულთაგან — ალი-ზადე.

დიდი ანგარიშით გამარჯვება ჩაიწერა მოსკოვის „დინამომ" „ზენიტთან" — 3:0. დინამოელებმა ბურთები ასეთი თანმიმდევრობით გაიტანეს: კოზლოვი, ევრიუჟიხინი, მუდრიკი (11-მეტრიანით).

კიევის „დინამომ" 2 ქულა აიღო „პახტაკორთან" შეხვედრაში — 2:0 (ტურიანჩიკი, კაშჩეი). ასეთივე ანგარიშით მოუგო „ჩერნომორეცმა" „კაირატს" (მოსკალენკო, სეკეჩი). აღსანიშნავია, რომ ორივე ბურთი გატანილ იქნა კუთხური მოწოდების შემდეგ.

15 აგვისტოს მოსკოვის „ტორპედომ" მძიმე ბრძოლის შემდეგ შეძლო „შახტიორის" დამარცხება — 1:0. გოლი გაიტანა სტრელცოვმა.

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და მინსკის „დინამო". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:1.

„ზარიამ" შინ მიიღო „კრილია სოვეტოვი". შეხვედრა დამთავრდა ლუგანსკელთა სასარგებლოდ — 1:0.

### სსრ კავშირის პირველობა

# მხოლოდ ქულა...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 14 აგვისტო.
„ტორპედო" (ქუთაისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0.

„ტორპედო": კოტრიკაძე, წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ჭოლაძე, ზარია, ვეკუა, ხერხაძე, ხაჟალია (ასიტაშვილი), ჭითანავა (ოქროპირაშვილი).

„ლოკომოტივი": ფროლოვი, ეიტკუსი, როდიონოვი, ზაიცევი, დიკარევი, ბახალაევი, მარკინი, კოზი, ატამალიანი, პეტროვი (ივანოვი), ორეშნიკოვი.

მსაჯი ა. კიშკო (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:1.

ქულები ქუთაისის ტორპედოელებს ახლა ჰაერივით სჭირდებათ. ასეთი მეტად საჭირო ქულა აღებულ იქნა „ლოკომოტივთან" შეხვედრაში და თუ გავითვალისწინებთ მოსკოველ რკინიგზელთა ახლანდელ სატურნირო მდგომარეობას, მათ ძალას, თითქოს, ყოველმხრივ კმაყოფილი უნდა ვიყოთ ჩვენი აქტივის შენაძენით. მაგრამ ბოლო ტურებში საუკეთესოდ ჩატარებული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ქუთაისელები ამ მატჩში ვერ გამოირჩეოდნენ იმ აქტიურობით და მონდომებით, რომელსაც მაყურებელი უკვე შეეჩვია.

თამაში თავიდანვე უფერული გამოდგა, თუმცა ტორპედოელებმა ინდივიდუალური გარღვევების შედეგად რამდენიმეჯერ მეტად ხელსაყრელი მდგომარეობა მიიღეს: ჯერ ხაჟალია დარჩა პირისპირ ფროლოვთან და ვერ შეძლო ამ მომენტის სათანადოდ გამოყენება, შემდეგ მის მაგალითს მიბაძა ჭითანავამ, მერე კი, მე-20 წუთზე, ვეკუამ იჩქარა და ახლოდან ააცილა ბურთი მიზანს. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა ებრალიძესაც, რომელმაც ღრმა რეიდის შემდეგ ძლიერად დაარტყა კარში. ფროლოვი ადგილზე აღმოჩნდა.

რკინიგზელებმა ერთადერთი სახიფათო მომენტი შეუქმნეს მეტოქეს, როცა ატამალიანი თითქმის ერთი-ერთზე დარჩა კოტრიკაძესთან. მეკარემ შეძლო მეტისმეტად ძნელი ბურთის აღება.

თუ პირველ ტაიმში გუნდები ასე თუ ისე ავლენდნენ სწრაფვას გამარჯვებისადმი, შესვენების შემდეგ თამაშმა აშკარად გამოხატული დაცვითი იერი მიიღო. ორივე გუნდის ფეხბურთელები თითქმის არ გასცილებიან მინდვრის შუაგულს და მეკარეები უმეტესად მაყურებელთა როლში იყვნენ.

შ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?

კიროვაბადი. „დინამოს" სტადიონი. 14 აგვისტო.
„დინამო" (კიროვაბადი) — „დინამო" (თბილისი) 2:0 (1:0).

კიროვაბადი: ჰუსეინოვი, ნაჯაფოვი, ლიუბარსკი, ფალკოვსკი, ბატრაევი, მაგერამოვი (ფილატოვი), ზეინალოვი, სპიკინი, ეინულაევი, აბდულაევი, სალახოვი.

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი (ქიქავა), ხურცილავა, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, სიჭინავა, გ. ნოდია.

მსაჯი ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

თანაკლუბელთა ეს მატჩი არ მიეკუთვნებოდა ტურის ცენტრალურ შეხვედრათა კატეგორიას, ვინაიდან გუნდებს ერთობ განსხვავებული ადგილები ეკავათ სატურნირო ცხრილში. მიუხედავად ამისა, ორივე მათგანს ძალზე ესაჭიროებოდა ქულები. უკან დასახევი გზა, როგორც იტყვიან, არც სტუმრებს ჰქონდათ, არც მასპინძლებს.

ეს განსაკუთრებით ითქმის კიროვაბადის „დინამოზე", ამიტომ თბილისელები წინასწარ უნდა ყოფილიყვნენ მზად შეუპოვარი ბრძოლისთვის. შეხვედრა, მართლაც, მასპინძელთა სწრაფი, ძლიერი იერიშით დაიწყო და სულ მალე თბილისელთა კართან დაინიშნა კუთხური. ურუშაძე ვერ მისწვდა მაღალ ბურთს, რეხვიაშვილმა შეცდომით ითამაშა და ბურთი საკუთარი კარის ბადეში გაგზავნა.

მდგომარეობის გამოსწორება საჭირო იყო დაუყოვნებლივ. მეტრეველმა მე-10 წუთზე სწრაფად აუარა გვერდი რამდენიმე მცველს და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში. ჰუსეინოვმა თავგანწირულ ნახტომში მოიგერია ბურთი. ცოტა ხანში მეტრეველმა ზედ კარის წინ გაიყვანა ნოდია, მაგრამ ამ უკანასკნელმა გოლის გატანას არჩია ბურთის დამუშავება და დაკარგა ძალზე ხელსაყრელი მომენტი.

თბილისელთა შეტევა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ამის მიზეზი იყო, რომ ერთობ სუსტად ითამაშეს ჩვენმა ნახევარმცველებმა. კერძოდ, სიჭინავა და კუტივაძე სისტემატურად აჩერებდნენ და კარგავდნენ ბურთს მინდვრის შუაგულში და ვერავითარ მხარდაჭერას ვერ უწევდნენ თავიანთ თავდამსხმელებს. ამის შედეგად კიროვაბადელთა კარგად ორგანიზებული დაცვა იოლად ანეიტრალებდა სახიფათო მომენტებს. მართალია, ცხოვრებოვი ხშირად ერთვოდა შეტევას, მაგრამ საბოლოო მომენტში ან არაზუსტად აწვდიდა, ან უმისამართოდ ურტყამდა. მთელი მატჩის განმავლობაში ვერ მონახა თავისი თავი ასათიანმა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს, მას არ ჰქონდა კონკრეტული გეგმა. იგი არც ნახევარმცველი იყო, არც თავდამსხმელი და არც გამთამაშებელი. ასათიანი გაუთავებლად ატარებდა ბურთს და ახშობდა ანგარიშის გათანაბრების ისედაც მცირე შესაძლებლობას.

თბილისელები ნელ ტემპში, შეჯგუფულად მოქმედებდნენ და მათი ყოველი იერიში მოწინაალმდეგისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა.

შედარებით გააქტიურდნენ სტუმრები მეორე ტაიმში. მოწინააღმდეგე საჯარიმო მოედანზე ხშირად ნახავდით ძოძუაშვილს, ხურცილავას, მაგრამ გუნდს მაინც არ ჰქონდა ერთიანი ტაქტიკური ჩანაფიქრი, თამაშობდა ქაოტურად.

თბილისის „დინამო" იმდენად გაერთო ამ უწესრიგო იერიშებით, რომ მნიშვნელოვნად მოადუნა ყურადღება დაცვაში. ერთ-ერთ სრულიად მარტივ ვითარებაში კუტივაძემ დაკარგა ბურთი, რომელსაც დაეუფლა აბდულაევი. ამ უკანასკნელმა არ დააყოვნა და ახლოდან ორამდე გაზარდა ანგარიში.

იგრძნეს რა გამარჯვების რეალობა, კიროვაბადელებმა გააძლიერეს დაცვა. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ასათიანი პირისპირ აღმოჩნდა ჰუსეინოვთან. მან გვერდი აუარა მეკარეს და ძნელი მდგომარეობიდან დაარტყა კარში, თუმცა ხურცილავა და მეტრეველი სრულიად თავისუფალი იყვნენ კარის წინ. ბურთი მოხვდა ძელს და კვლავ ასათიანს დაუბრუნდა. მას ამჯერად მაინც უნდა მიეცა ბურთი პარტნიორებისთვის, მაგრამ ასათიანმა არჩია კიდევ ერთხელ მოეტყუებინა მცველები და მეკარე, ვერ შეძლო ეს და დაკარგა ბურთი.

თბილისელთა წარუმატებლობას აუტსაიდერებთან ხშირად შემთხვევითობას მიაწერენ ხოლმე, მაგრამ, ვფიქრობთ, მუდამ ასე როდია. კიროვაბადის „დინამო" ყოველმხრივ მობილიზებული, სრულ მზადყოფნაში შეხვდა ამ მატჩს, ხოლო თბილისელებმა აუტსაიდერთან შეხვედრა იოლ გასეირნებად მიიჩნიეს. ამის შედეგია, რომ ჩვენმა გუნდმა დაკარგა უაღრესად საჭირო 2 ქულა.

მსაჯის მისამართით შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ იგი შესანიშნავად მოემსახურა მატჩს.

ნ. ჯაფარიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## „ა" ჯგუფი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 17 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 24 | 14 | 9 | 1 | 35—14 | 37 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 23 | 14 | 4 | 5 | 40—26 | 32 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 10 | 9 | 4 | 36—21 | 29 |
| ცსკა | 23 | 11 | 6 | 6 | 27—19 | 28 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 9 | 9 | 5 | 24—12 | 27 |
| „დინამო" (მინსკი) | 23 | 10 | 7 | 6 | 25—19 | 27 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 23 | 9 | 9 | 5 | 25—19 | 27 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 23 | 9 | 9 | 5 | 29—25 | 27 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 24 | 9 | 6 | 9 | 32—26 | 24 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 23 | 7 | 10 | 6 | 22—28 | 24 |
| ასკ (როსტოვი) | 23 | 7 | 7 | 9 | 32—33 | 21 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 23 | 6 | 8 | 9 | 15—17 | 20 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 23 | 5 | 10 | 8 | 21—25 | 20 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 23 | 6 | 8 | 9 | 21—27 | 20 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 24 | 6 | 8 | 10 | 13—27 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 23 | 7 | 5 | 11 | 19—27 | 19 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 23 | 5 | 6 | 12 | 16—26 | 16 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 24 | 5 | 6 | 13 | 19—30 | 16 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 23 | 5 | 6 | 12 | 24—42 | 16 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 23 | 3 | 8 | 12 | 12—24 | 14 |

## III ქვეჯგუფი

### „ა" ჯგუფი II ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 24 | 14 | 7 | 3 | 36—13 | 35 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 24 | 11 | 11 | 2 | 19—8 | 33 |
| „ვოლგა" (გორკი) | 23 | 12 | 6 | 5 | 38—16 | 30 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 24 | 10 | 9 | 5 | 26—18 | 29 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 23 | 10 | 8 | 5 | 26—17 | 28 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 24 | 10 | 6 | 8 | 32—24 | 26 |
| „დინამო" (ბათუმი) | 24 | 10 | 6 | 8 | 29—23 | 26 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 24 | 10 | 6 | 8 | 24—23 | 26 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 24 | 9 | 7 | 8 | 22—26 | 25 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 24 | 8 | 8 | 8 | 24—25 | 24 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 24 | 7 | 8 | 9 | 24—21 | 22 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 24 | 6 | 10 | 8 | 29—30 | 22 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 24 | 6 | 9 | 9 | 18—28 | 21 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 24 | 6 | 9 | 9 | 21—34 | 21 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 23 | 8 | 4 | 11 | 18—25 | 20 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 24 | 8 | 4 | 12 | 26—39 | 20 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 23 | 5 | 9 | 9 | 15—19 | 19 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 24 | 6 | 7 | 11 | 22—32 | 19 |
| „თერგი" (გროზნო) | 24 | 5 | 8 | 11 | 25—32 | 18 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 24 | 3 | 12 | 9 | 18—28 | 18 |
| „სტროიტელი" (უფა) | 24 | 4 | 10 | 10 | 23—34 | 18 |

# 0:0, 3:0

15 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ცხინვალიდან...

ინტერესი IV ზონის ლიდერის — კიროვაკანის „ლორის" გამოსვლის მიმართ დიდი იყო. დღევანდელ მეტოქეთა შეხვედრა პირველ წრეში დამთავრდა „ლორის" გამარჯვებით, ამიტომ ცხინვალელებს ამოძრავებდათ რევანშის აღების წყურვილი. ეტყობა, „ლორი" ყაბულს იყო აელო თუნდაც 1 ქულა — თავიდანვე გააკეთა აქცენტი დაცვაზე და მიაღწია იმას, რომ მოწინააღმდეგის იერიშებს აქარწყლებდა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან.

სპარტაკელებს კიდევ უფრო აშკარა უპირატესობა ჰქონდათ მეორე ტაიმში. „ლორის" დაცვას და მეკარე მანუკიანს ძალზე დიდი დატვირთვა დააწვათ. ანგარიშის გახსნის კარგი შანსი გააჩნდათ გაბოძეს, ჯიჭოევს, გაგიევს, მაგრამ ისინი ან უხეიროდ ურტყამდნენ კარში, ან ბურთს ისევ მანუკიანი ეუფლებოდა.

კიროვაკანელთა მხრივ აღსანიშნავია თავდამსხმელი ბარსეგიანი, რომლის ძლიერად დარტყმულ ბურთს ბოლო მომენტში მიუსწრო მეკარე შარაშენიძემ. მიუხედავად დიდი ტერიტორიული უპირატესობისა, ცხინვალელები დასჯერდნენ ფრეს — 0:0.

ვ. მელქოევი.

### ზუგდიდიდან...

ადგილობრივი „ენგური" თანდათან ასწორებს იმ არასახარბიელო მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა პირველ წრეში ცუდად ჩატარებული თამაშების შედეგად, ხოლო განვლილ მატჩში ოქტემბერიანის „სევანის" ძლიერ გუნდთან, რომელიც ზონის მეორე ლიდერია, ზუგდიდელებმა თავიანთი მონდომებული, ენერგიული და კოლექტიური თამაშით ცხადყვეს, რომ შეუძლიათ კიდევ უფრო გამოაკეთონ სატურნირო მდგომარეობა.

ანგარიში მასპინძლებმა მე-5 წუთზე გახსნეს ალმასიას მიერ ზუსტად დარტყმული პენალტის შემდეგ — 1:0.

ამ წარმატებამ კიდევ მეტი დამაჯერებლობა შეიტანა „ენგურის" თამაშში და გუნდს თითქმის არ შეუწყვეტია სევანელთა კარის იერიში. 30-ე წუთზე როგავამ კარგად გამოიყენა აბრალავას გადაცემა და კიდევ უფრო დააწინაურა თავისი გუნდი — 2:0.

მასპინძელთა სრული უპირატესობა ცხადი იყო შესვენების შემდეგაც. ოქტემბერიანის ფეხბურთელებმა შეატყვეს, რომ არ შეეძლოთ კონტრთამაშის შექმნა და უხეშობას მიჰყვეს ხელი. ორჯონიკიძელმა მსაჯმა კონდაკოვმა ვერ შეძლო მათი ყოვლად არასპორტული თამაშის აღკვეთა.

მიუხედავად ამისა, „ენგურმა" კიდევ ერთხელ მიაღწია წარმატებას და დარასელიას გოლის შემდეგ დიდი ანგარიშით მოგება ჩაიწერა — 3:0.

ბ. ალშიბაია.

# საქართველოს თასზე

გრძელდება თამაშები საქართველოს თასზე ფეხბურთში. გამოირკვა რამდენიმე კოლექტივი, რომლებმაც მოიპოვეს მეოთხედფინალში თამაშის უფლება.

გარდაბნის „შრომითი რეზერვების" კოლექტივმა გაიმარჯვა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის გუნდთან შეხვედრაში — 4:1. ლანჩხუთისა და ვაზისუბნელ ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ლანჩხუთელთა გამარჯვებით — 3:0.

ერთნაირი ანგარიში — 1:0 იქნა ფიქსირებული წულუკიძის „ფერქისა" და აბაშის „განთადის", აგრეთვე, თბილისის „სინათლისა" და გორის რაიონის „ქართლის" შეხვედრებში. გაიმარჯვეს პირველებმა.

სამტრედიის „ლოკომოტივმა" დაამარცხა წალენჯიხის „კოლმეურნე" — 2:1.

ადიგენის „განახლება" სათამაშოდ არ ჩავიდა ჩხოროწყუში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

# ერაყის გუნდის ვიზიტი

ამხანაგურ საერთაშორისო შეხვედრათა ჩასატარებლად სსრ კავშირში ჩამოვიდა ერაყის შეიარაღებული ძალების ფეხბურთელთა ნაკრები.

სტუმრები გამართავენ სამ მატჩს: 18 აგვისტოს ვოლგოგრადში მოსკოვის „სპარტაკთან", 22 აგვისტოს — კისლოვოდსკის „ნარზანთან" და 25 აგვისტოს — თბილისის „დინამოსთან".

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

# ვ. მადლიერი სტეინიცი

1884 წელს მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვ. სტეინიცი ამერიკის შეერთებულ შტატებში დასახლდა. ამ ქვეყანაში მას დიდი სიხარული ელოდა. მეგობრების ხელშეწყობით ასრულდა სტეინიცის დიდი ხნის ოცნება: მან დააარსა საკუთარი საჭადრაკო ჟურნალი — „ინტერნაციონალ ჩესს მაგაზინე“. პირველი ნომერი 1885 წლის იანვარში გამოვიდა. საზოგადოებრიობა ახალ ჟურნალს კმაყოფილებით შეხვდა.

სტეინიცმა პოზიციური თამაშის მოძღვრება შექმნა. ამ თეორიის გახმიანების ყველაზე კარგი გზა საკუთარი ჟურნალი იყო. მაგრამ მკითხველს სხვა საზრდოც სჭირდებოდა. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონმა თანამშრომლობა სთხოვა ბევრ ცნობილ მოჭადრაკეს, მათ შორის, ანდრია დადიანსაც.

ზუგდიდის მუზეუმის არქივში დაცულია სტეინიცის სამი წერილი დადიანის სახელზე. ამ წერილებით ირკვევა ორი მოჭადრაკის როგორც კეთილმეგობრული, ისე საქმიანი, საჭადრაკო ურთიერთობა.

1885 წლის 5 აგვისტოს ნიუ-იორკიდან გამოგზავნილ ბარათში მსოფლიო ჩემპიონი წერს ანდრიას:

„მსურს გულითადი მადლობა მოგიძღვნათ იმ წვლილისთვის, რაც ჩემი ჟურნალისათვის გაგიღიათ. მიმდინარე ნომერში დაიბეჭდა თქვენი მოგებული



ვ. სტეინიცი

**ზუგდიდის მუზეუმის მასალების მიხედვით**

პარტია. ... მუდამ მადლიერი ვიქნები თქვენი თანამშრომლობის გამო. მიიღეთ ჩემი უმაღლესი პატივისცემა“.

აქ ლაპარაკია პარტიაზე, რომელიც დადიანმა ლამაზად მოუგო მ. პუშკინს პეტერბურგის მოჭადრაკეთა ტურნირში 1881-1882 წლების ზამთარში. შემდგომ ეს პარტია ინგლისურმა საჭადრაკო ჟურნალმა „ჩესს მონსლიმ“ (1892 წ.) გადაბეჭდა, ხოლო ცნობილმა რუსმა ოსტატმა ე. შიფერსმა თავის ჭადრაკის სახელმძღვანელოში შეიტანა. გთავაზობთ ამ პარტიას.

**დადიანი — პუშკინი**

**მეფის გამბიტი**

1. e4 e5 2. f4 კc5 3. მf3 d6 4. c3 მc6 5. d4 ed 6. cd კb4+ 7. კd2 კ:d2+ 8. ლ:d2 მge7 9. მc3 0—0 10. f5 f6 11. კc4+ მფh8 12. 0—0—0 d5 13. მ:d5 მ:d5 14. კ:d5 მe7 15. კb3 c6 16. ლf4 a5 17. a4 b5 18. ეd3 კa6 19. ლh4 ba 20. მg5 fg 21. ლ:h7+ მფ:h7 22. ეh3×.

როგორც „ჩესს მონსლი“ წერს, სტეინიცს სწორედ ამ პარტიის ნახვისას უთქვამს: „დადიანის თამაშში ჩვენ კვლავ ვხედავთ პირველი რანგის გაბედულ და მახვილ გენიას“.

ანდრია დადიანი სტეინიცის ჟურნალში თანამშრომლობდა მის დახურვამდე (1891 წ.). ეს, სხვათა შორის, ჩანს შიფერსის წერილიდანაც, რომელზეც უფრო გვიან გვექნება ლაპარაკი.

მსოფლიო ჩემპიონს როდი აკმაყოფილებდა ახალი თეორიის ქადაგება ჟურნალის ფურცლებზე. მან მოიწადინა სამ წიგნად გამოეცა თავისი მოძღვრება. ეს იოლი საქმე არ იყო — სათანადო თანხა სჭირდებოდა. მაგრამ სტეინიცმა მაინც შეძლო 1889 წელს პირველი წიგნის დასტამბვა და მას „თანამედროვე საჭადრაკო სახელმძღვანელო“ დაარქვა. წიგნში განხილულია იმ დროისთვის პოპულარული ექვსი დებიუტი.

სწორედ ამ წიგნის გამოსვლის პერიოდს ემთხვევა სტეინიცის მეორე წერილი.

„ჩემო ძვირფასო დადიანო, — წერს მსოფლიო ჩემპიონი. — თუმცა ხანგრძლივი დუმილი არ მეპატიება, მაგრამ იმედი მაქვს თქვენი შეწყნარებისა ჩემი პირობების გამო. ჟურნალთან დაკავშირებით ფინანსური სიძნელეები შემხვდა. სამაგიეროდ, წარმატებით დავამუშავე ჩემი წიგნის მეორე ნაწილი. მსურს იგი ნაწილ-ნაწილ გამოვაქვეყნო. პირველი დაახლოებით 60 გვერდი იქნება, და თუ მას მოიწონებენ, ვფიქრობ, მთელ ტომს დროულად დავასტამბინებ. გთხოვთ კვლავ ითანამშრომლოთ და ჟურნალს თქვენი ბრწყინვალე პარტიები მოაწოდოთ“.

1891 წელს სტეინიცმა მეორე წიგნიც დაასრულა. მესამე წერილი იმდროინდელია.

„გიგზავნით ჩემი ახალი წიგნის გამოსვლის დადასტურების ქაღალდს, დაე, იგი თქვენი ჩემდამი დიდი მეგობრობის ალსანიშნავი იყოს. მოგახსენებთ, რომ „თანამედროვე საჭადრაკო სახელმძღვანელოს“ ყველა გამორჩეული ნაწილი ჟურნალში გამოვაქვეყნე. დიახ, სწორედ ეს წიგნი დავასრულე. ვიმედოვნებ, დავწერ მესამე წიგნსაც, რომელსაც თქვენ გაძლევნით სიამოვნებით“, — წერს სტეინიცი.

მაგრამ მესამე წიგნი აღარ გამოსულა. 1891 წელს ჟურნალი დაიხურა უსახსრობის გამო. სტეინიცმა ხელი აიღო ლიტერატურულ მუშაობაზე. 1892 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1900 წლის 12 აგვისტო) იგი მხოლოდ ჭადრაკს თამაშობდა.

ამ წერილიდან ჩანს, რომ დადიანი დახმარებია მსოფლიო ჩემპიონს სახელმძღვანელოს გამოცემაში. ეს მოულოდნელი როდია. ჭადრაკისთვის ანდრიას არაფერი ეშურებოდა: ნიშნავდა პრიზებს, ეხმარებოდა მოჭადრაკეებს, ხელს უმართავდა ჟურნალების გამომცემლებს და სხვ. მას კარგად ესმოდა სტეინიცის შრომის მნიშვნელობაც.

სამწუხაროდ, სტეინიცის სხვა ბარათები მუზეუმში არ აღმოჩნდა, მათი არსებობა კი არ გვეეჭვება.

**თ. გიორგაძე.**




სურათზე: ვ. სტეინიცის ერთ-ერთი წერილის დედნის ფოტორეპროდუქცია.

## ალექსანდრია კვლავ იგებს

**დუშეთი**, 16 აგვისტო (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). გუშინ, საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის VII ტურში ნ. ალექსანდრიამ კვლავ იმარჯვა — ამჯერად დაამარცხა მ. სანაძე. ყაიმით დასრულდა ც. კახაბრიშვილ — თ. ხუგაშვილის შეხვედრა.

ლ. კოროშინაძემ მოუგო ზ. შენგელიას (სამტრედია), ნ. ჩიქობავამ — ც. სიორდიას (ცხაკაია), ს. ივანოვამ — ქ. გოგიავას, მ. ჩომახიძემ — ე. ლომიძეს (ქუთაისი).

დღეს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, კ. პილცერ — ც. კობაიძის წინადღით გადადებულ პარტიაში ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. პილცერის უზუსტო თამაშის შედეგად კობაიძეს მოგების შანსი მიეცა, მაგრამ პარტია მაინც დაუმთავრებელი დარჩა. ამ პარტიის დაწყებამდე კობაიძე დანებდა გოგიავას.

ალექსანდრიამ მოუგო კახაბრიშვილს, ხუგაშვილმა — ჩიქობავას. ყაიმზე შეთანხმდნენ პილცერი და სანაძე.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ალექსანდრია (7) და ხუგაშვილი (6,5).

**ნ. სოროკინი,**
**პირველობის მთავარი მსაჯის მოადგილე, სპორტის ოსტატი.**

## ბოტვინიკი ფიქრობს ასე...

**მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ამას წინათ „ტრუდის“ სპორტული დღესასწაული მოეწყო. საზეიმო სალამოს პროგრამაში დიდი ადგილი ჭადრაკს დაეთმო. ეს არცაა გასაკვირი: „ტრუდის“ წევრია 8 დიდოსტატი და 40-მდე ოსტატი, მათ შორის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები ვ. კორჩნოი და ა. კუშნირი.**

**სალამოზე ბოტვინიკმა ვრცელი სიტყვა წარმოთქვა. ჩვენი მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება მისი აზრი პრეტენდენტთა მომავალ ბრძოლაზე.**

— ვიქტორ კორჩნოიმ ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია თავის საჭადრაკო მოღვაწეობაში და დიდი შანსი აქვს მსოფლიოს ჩემპიონ პეტროსიანთან შეხვედრისა. მაგრამ უნდა ითქვას, პრეტენდენტთა ყველა მატჩიდან თანაბარი ძალის მეტოქენი სწორედ ფინალში ხვდებიან ერთმანეთს. მოსალოდნელი იყო, რომ სპასკი მოუგებდა გელერს (და მოუგო კიდეც), ლარსენი — პორტიშს, კორჩნოი — რეშევსკის და სპასკი — ლარსენს. კორჩნოის ტალთან შეხვედრაში დიდი უპირატესობა ჰქონდა. აზრი კორჩნოი — სპასკის ორთაბრძოლაზე უფრო გაურკვეველია. დიდოსტატთა პირადი კოეფიციენტის არაოფიციალური მაჩვენებლის მიხედვით კორჩნოის კოეფიციენტი უფრო მაღალია. მაგრამ ამის საფუძველზე არ შეიძლება დავასკვნათ, რომ გაიმარჯვებს კორჩნოი. ლენინგრადელის მაღალი კოეფიციენტი მის სპორტულ ხასიათზეა დამოკიდებული: იგი ხომ მუდამ მოგებაზე თამაშობს! ამიტომ პროცენტულად ტურნირებსა და გუნდურ შეჯიბრებებში კორჩნოის მეტი ქულა აქვს დაგროვილი.

როგორც მოჭადრაკე, სპასკი უფრო პრაქტიკოსია. იგი მხოლოდ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში თამაშობს მთელი ძალით და კოეფიციენტიც დაბალია. მაგრამ სპასკის გამოცდილება იმითაცაა უფრო საყურადღებო, რომ მან ერთხელ უკვე ითამაშა მატჩი მსოფლიო ჩემპიონთან.

პრეტენდენტები შემოქმედებითი სახითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კორჩნოი მუდამ დაძაბული თამაშის გაჩაღებას ცდილობს, — ამგვარ ვითარებაში პოზიციის მისებურ გაგებას, დაცვაში სიმშვიდეს, ღრმა განჭვრეტას შეიძლება წარმატებაც მოჰყვეს.

სპასკი მუდამ ერთნაირად ძლიერ სვლებს აკეთებს: დარწმუნებით თამაშობს დებიუტს, იცავს, უტევს. იგი არ ცდილობს მეტოქეს თავისი თამაში მოახვიოს თავს, იცდის და მოპირდაპირის გეგმაში ჩრდილოვან მხარეებს ეძებს. ეს თამაშის ძალიან პრაქტიკული სტილია და ამ თვალსაზრისით სპასკის მატჩში წარმატების დიდი შანსი აქვს.

კორჩნოის გამარჯვება ტალთან უფრო ნაკლებად დამაჯერებელი იყო, ვიდრე სპასკისა ლარსენთან. მაგრამ თუ მომავალ მატჩში კორჩნოიმ ხელსაყრელი პოზიცია მიიღო, სპასკის თამაში გაუძნელდება. საერთოდ კი, მატჩის ბედის გამოცნობა წინასწარ არავის შეუძლია.

თუ გაისად წლევანდელზე უკეთ არ იქნა ბრძოლისთვის მომზადებული, მსოფლიო ჩემპიონს გაუჭირდება თამაში კორჩნოისთან თუ სპასკისთან. პეტროსიანს თვითმყობადი, ორიგინალური ნიჭი აქვს, მაგრამ მას საკმაო შრომა დასჭირდება ტიტულის შესანარჩუნებლად.

რაც შეეხება ქალთა პაექრობას, აქ გაფრინდაშვილის უპირატესობა ის გახლავთ, რომ იგი ვაჟებთან კუშნირზე უფრო დაჯერებულად თამაშობდა. ეს ითქმის განსაკუთრებით უცხოეთში გამართულ შეჯიბრებებზე. კუშნირის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ იგი მეორედ თამაშობს მატჩს მსოფლიო პირველობაზე. ამ წლინახევრის მანძილზე გაფრინდაშვილს არც ტურნირებში აქვს დიდი უპირატესობა. მეტოქეთა ამჟამინდელი შეხვედრა უთუოდ უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე პირველი, და იოლი გამარჯვება მათგან არც ერთს არ ელის.

## [illegible]

● **დონის როსტოვი, 14 აგვისტო.** აქ დამთავრდა X საკავშირო შეჯიბრება საშვეულმფრენო სპორტში, მიძღვნილი კომკავშირის 50 წლისთავისადმი. მრავალჭიდში უძლიერესის სახელი მოიხვეჭა რუსეთის ფედერაციის მეორე ნაკრებმა, ხოლო აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ამ გუნდის წარმომადგენელი ა. ლაბაკახარი. 16 კაცმა შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

● **მალმე, 14 აგვისტო.** მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 110 მეტრზე თარჯრბენში შვეციის ახალი რეკორდი დაამყარა ბ. ფორსანდერმა — 13,7. მონაწილეთა შორის რამდენიმე ცნობილი ათლეტი იყო, მათ შორის, ავსტრალიელი რ. კლარკი, რომელმაც საშუალო შედეგით (8.08,6) მოიგო 3000 მეტრზე რბენა.

● **სტოკჰოლმი**, 15 აგვისტო. შვეციის ღია ჩემპიონატში მოასპარეზე თანამედროვე ხუთჭიდელებმა კიდევ ორი სახეობა გაითამაშეს. ფარიკაობაში ბრწყინვალედ გამოვიდნენ მასპინძლები — ოთხი სპორტსმენიდან თვითეულმა 1000 ქულაზე მეტი დააგროვა, ხოლო მათ შორის საუკეთესო იყო იაკობსონი. რა თქმა უნდა, გუნდურ ჩათვლაშიც მასპინძლებმა გაიმარჯვეს. მესამე სახეობაში — სროლაში თავი ისახელა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა ნოვიკოვმა — 197 ქულა. II-III შედეგები ჰქონდათ კიეველ ონიშჩენკოსა და უნგრელ ტიორიოკს — 194-194. შეჯიბრების ლიდერმა ლედნიოვმა (ლეოვი) 192 ქულა დააგროვა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა ხუთჭიდელებმა. 3 სახეობის შემდეგ კვლავ წინაა ლედნიოვი — 3116 ქულა. II ადგილზეა ტიორიოკი — 3100, ხოლო III — შვედი ფერმი — 3094. გუნდურ ჩათვლაში პირველ სამ ადგილზე არიან: 1. სსრ კავშირი, 2. უნგრეთი, 3. შვეცია.

● **ხარკოვი**, 15 აგვისტო. აქ დამთავრდა ბავშვთა სპორტული სკოლების აღსაზრდელთა საკავშირო პირველობა წყალში ხტომაში. კარგად გამოვიდა თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენელი ქ. იადრიშნიკოვი, რომელმაც III საპრიზო ადგილი მოიხვეჭა ტრამპლინიდან ხტომაში ჭაბუკთა შორის.

## ორნახევარი წუთი წყალქვეშ

**ნიუ-იორკი**, 14 აგვისტ[...] როგორც ასოშიეიტედ პრეს[...] სააგენტო იუწყება, უაპარატო[...] ყვინთვაში მსოფლიოს ახალ[...] მიღწევა დაამყარა ამერიკის შე[...] ერთებული შტატების სამხედ[...] რო-საზღვაო ფლოტის წყალ[...] ქვეშა ცურვის ინსტრუქტორმა[...] 34 წლის ბობ კროფტმა. ატ[...] ლანტის ოკეანეში მან 73,15 მე[...] ტრზე ჩაყვინთა. ასეთი სიღრმის[...] მისაღწევად კროფტს 77 წამ[...] დასჭირდა, სულ კი მან 2 წუთი[...] თა და 26 წამით შეიკავა სუნ[...] თქვა.

მანამდელი მიღწევა (70,41 მ[...]) ფრანგ ჟაკ მაიოლის ეკუთვნოდა.

◆ **ლოანო** (იტალია), 16 აგვი[...]სტო. მსოფლიოს ჩემპიონები — სსრ კავშირის კალათბურთელ[...] ვაჟები ცდილობენ მაქსიმალურა[...]დ გამოიყენონ მეხიკოს ოლიმპიუ[...]რ ტურნირამდე დარჩენილი დღეე[...]ბი. პოლონეთის ნაკრებთან გამარჯვე[...]ბით (80:53) მათ აქ საერთაშორის[...]ო შეჯიბრება დაიწყეს. ზემოხსენებუ[...]ლი გუნდების გარდა ტურნირში მონაწილეობენ კლუბები „გალ[...] ოლ სტარსი“ (აშშ) და „ორანსოლ[...] კანტუ“ (იტალია), რომელთა შო[...]რის შეხვედრა ამერიკელთა წარმა[...]ტებით ალინიშნა — 74:70.

◆ **ბერლინი, 16 აგვისტო.** საბ[...]ჭოთა კავშირში გამოსვლების შემ[...]დეგ ოლიმპიური ჩემპიონები — იაპონიის ფრენბურთელი ქალებ[...]ი ევროპულ ტურნეს შეუდგნენ. მა[...] ორჯერ ერთნაირი ანგარიშით (3:0) შეძლეს გდრ-ის გუნდის დამარცხე[...]ბა. მანამდე იაპონელებმა ფარ-ხმა[...]ლი დააყრევინეს შვედებს. ოლიმ[...]პიური ჩემპიონები უმეტესად ახა[...]ლი შემადგენლობით ასპარეზობე[...]ნენ: ტაკაიამა, ივახარა, კოძიმა, ფუკუნაკა, სისიკურა, სასახარა.

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
8
უე 07691